

✓ 8.

ჩინეთის ფილოსოფია

მ ი - ჭ ი.

ს ა ყ ვ ლ ვ ა ღ ი ა ღ — — — — — ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი

რ უ ს უ დ ა თ დ ა ბ ე ჭ დ ი ლ ი ა

ლ ე პ წ ი ლ უ ლ ი ს რ ე დ ა კ ც ი თ .

თ ა რ გ მ ა ნ ი დ ა ბ ო ლ ი ს ი ტ ყ ვ ა ღ ბ ა

ი ღ ლ ი ღ ლ ი ს ა .

ბ ა თ უ მ ი

ს ტ ა მ ბ ა ვ . ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ი ს დ ა ნ . ხ ვ ი ნ გ ი ა ს ი .

1 9 1 1 .



ମୂର୍ଖ ପାତାଳ ପାଦିଲୁ

ତନ୍ତ୍ରପାତାଳକାଳୀ

ჩინეთის ფილოსოფია

ଦ କ - ଶ କ.

საყოველთამ

სიკვარული

ରୂପରେଣତ ଫାଳଜ୍ଞଦୀଲୀ

ლევ ფრანგელის ჩატაკციით.

თარგმანი და ბოლოსიტყვაობა

0350695015.



፲፻፲፭

სტამბა ვ. ჩანტლაძის და ნ. ხვინგიასი.

1911.

საქოველთამ სიყვარული.

ნაწილი I.

ნასწავლი პირების სიბრძნე უმაღლესათ მასში უნდა მდგომარეობდეს, რომ მათ ასწავლონ კაცობრიობას ისეთი ცხოვრება, რომ ყველას შეეძლოს იცხოვროს კმაყოფილათ და ბედნიერათ. ბრძნენთ უნდა ესმოდეთ, თუ რაში მდგომარეობს თანამედროვე კაცობრიობის უკმაყოფილება, აურზაური, და უსამართლობა. თუ ისინი ამას მიმხვდარნი არ არიან, რასაკვირველია, მათ ნებაც არა აქვთ ასწავლონ სხვებს ცხოვრება. ბრძნენთ უნდა შევადაროთ ავათმყოფთან მიწვეულს ექიმს. ექიმმა ჯერ უნდა გაუგოს, მიხვდეს, თუ სიდან წარმოსდგება მისი ავათმყოფობა და შემდგე იმ პირობების მახედვით დაუნიშნოს წამალი, დაუწყოს ექიმობა. თუ რომ იგი ავათმყოფობის მიზეზს ვერ მიხვდება — სულ უბრალოთ გაივლის მისი წამლობა.

ამგვარათვე უნდა მოიქცნენ ბრძნენიც. ჯერ დაწვრილებით უნდა გამოიკვლიონ, თუ რაა მიზეზი დღევანდელი უკმაყოფილებისა უბედური ცხოვრებისა, უსამართლობისა, და მხოლოთ შემდეგ შეუდგენ კაცთაშორის ბედნიერ ცხოვრების დამყარებას. თუ რომ ჩააკვირდებიან ისინი კაცობრიობის ცხოვრების უკულმართ მხარეს. უეჭვლათ აღმოაჩენენ მიზეზებს, თუ რისთვის არის ხალხი და თვითეული პირი უკმაყოფილო. გამოიძნისთანავე არ შეიძლება

არ მივიდენ ისინი იმ დასკვნაზე, რომ მიზეზი ყოველივე უკმაყოფილებისა ერთა შორის, საზოგადოებათა შორის და თვითეულ პირთა შორის, ერთმანეთის უსიყვარულობაა.— კაცთა შორის არ არსებობს: საყოველთაო სიყვარული. როდესაც ერს არ უყვარს. თავისი მმართველი, შვილს მშობელი, ან მმართველს. თავისი ერი, აღამიანებს ერთმანეთი, ხალხში მიუკილებლათ ყოველ გვარი სიწამხთრე, უკმაყოფილება და. უსამართლობა იქნება. მაგალითათ: შვილს არ უყვარს თავისი მშობელი; იმ შემთხვევაში ის ყოველთვის ეცდება თვით ყოველივე კარგი მოუვიდეს ქვეყანაზე და მშობელს — გლახა. უმცროს ძმას არ უყვარს თავისი უფროსი ძმა; მაში ის ცდილობს თავის-თავს ყოველივე კარგი შესძინოს და უფროს ძმას. — სიგლახე. მოხელეს არ უყვარს თვისი მეფე; რასაკვირველია იგი ყოველ ლონისძიებას ხმარობს, რომ მის მეფეს, რაც შეიძლება, საქმე ცუდათ წაუვიდეს და თვითონ კი კარგათ. ამგვარივე ბოლო იქნება, თუ რომ მეფეს არ ევარება ხალხი, მამას შვილი, უფროს ძმას უმცროსი და სხვა. აი, აქედან შედგება ყოველგვარი სიგლახე საზოგადოებაში და თვითეულ პირთა შორის. ამნაირათ, მიზეზი ყოველივე უკმაყოფილებისა, უბედურებისა და უსახსრობისა არის. ის, რომ ჩვენ არა გვაქვს საყოველთაო სიყვარული.

რა არის მიზეზი ქურდობის, ძარცვის და სხვა. ამ გვარ ავაზაკობის? მიზეზი იგივეა: ქურდს უყვარს. თავისი თავი, თავის ოჯახი და სრულიათ არ უყვარს ის, ვისაც ძარცვავს, ვისაც ქურდავს. თუ რომ მას ის უყვარდეს, რასაკვირველია, იგი მასთან არავითარ ავაზაკობას არ ჩადენს. მაში მიზეზი ამ გვარ დანაშაულობისა ერთმანეთის უსიყვარულობაა.

მოვიგონოთ შმართველნი, ერისთავნი, რომელნიც აწიოკებენ ხოლმე მთელ სოფლებს, აქცევენ ოჯახებს, ყვლეფენ მათ, აყენებენ ყოველნაირ უბედურებას და სიღარიბეს. გავიხსენოთ თუგინდ ადკილობრივი თავადები, როდესაც ისინი მიუხტებიან ერთმანეთს და ზურგზე ბოლს ადენენ; რაა ყოველივე ამის მიზეზი? რასაკვირველია მიზეზი ერთი და იგივე — ერთმანეთ შორის უსიყვარულობა. მათ მარტო თავის თავი უყვართ და არა სხვა, — მოძმე ქვეშევრდომი. თუ რომ მათ შორის სიყვარული სუფევდეს, ამგვარ სისაძაგლეს როგორ ჩაიდენენ.

წარმოიდგინეთ ახლა რა შედეგი ექნებოდა, თუ რომ კაცთა შორის სიყვარული სუფევდეს: რომ მათ იმგვარათ უყვარდეთ ყველა მოძმე, როგორც თავისი თავი, განა იქნებოდა იმ შემთხვევაში მათ შორის რაიმე უკმაყოფილება, დაწიოკება, უსინილისობა, და უსამართლობა? თუ რომ კაცი ზრუნავდეს და ნაღვლობდეს თავის შეკილზე, თავის მოძმეზე ისე, როგორც თავის თავზე ზრუნავს, საიდან წარმოდგებოდა ყველა ის უსამართლობა, რომელიც დღეს სუფვს? საიდან იქნებოდა ხალხში ქურდი და ავაზაკი, ლარიბი და მდიდარი, თუ თითვეული მათგანი ეცდებოდა სხვისი ცხოვრების წარმატებისათვის და მის ქონებრივ შეძენისათვის ისე, როგორც თავის თავისთვის. რომ ამგვარი ძმური სიყვარული არსებობდეს ჩვენში, ვრა იქურდებს, ვიღა შეაწუხებს თავის მოძმეს, ვინ იქნება რომ კაცის კვლა ჩაიდინოს? რასაკვირველია მაშინ სრულიაზ მოისპობოდა ყოველგვარი ავაზაკობა: მართებლობიდან ხალხის დაწიოკება, ღონიერიდან უღონოს დაჩაგვრა და იქნებოდა ქვეყანაზე მშვიდობა და სიყვარული.

რადგან ამგვარი შედეგი სიყვარულისა ეჭვს გარეშეა, და მხოლოთ მის საშვალებით დამყარდება წესიერება. და კეშმარიტი მართებლობა ქვეყანაზე, საჭიროა, რომ ყველა ნასწავლი პირი წინააღმდეგის უწესობას, უსამართლობას და ყოველი ღონისძიება იხმაროს რომ ხალხში სიყვარული დაამყაროს და სიმძულვარე მოსპოს. ამისათვის საჭიროა მიესდიოთ, ამ კეშმარიტებას და ყოველგან გავავრცელოთ, ვიღალადოთ, რომ საყოველთაო სიყვარულის გარეშე ცხოვრება არ აჩინდობს. თუ რომ ხალხშა ეს კეშმარიტება დაიჯერა და მის განხორციელებას ხელი მიჰყო, მაშინ ხალხში წესიერება უფლებელათ დამყარდება. და ყოველგვარი უსამართლობა მოისპობა.

აი, ესაა მიზეზი, რომ სხვას არაფერს არ ვურჩევ; კაცობრიობას, თუ არ საყოველთაო სიყვარულს.

ნაწილი II.

ღრაა, — ძრიელ კარგი იქნება — მიპასუხებენ — ნასწავლნი და უფლება მოსილნი პირნი, — მაგრამ რანაირათ გავა: მეფოთ ხალხში ეს საყოველთაო სიყვარული? რათ საკვირველია ბედნიერი იქნება კაცი იმ შემთხვევაშია, მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ ეს საყოველთაო სიყვარული ძნელი მოსახერხებელია.

ნასწავლ და უფლება მოსილ პირთ იმისთვის — უძნელდებათ გამეფება საყოველთაო სიყვარულ ს, რომ იგი მათგან დიდ მსხვერპლს მოითხოვს და არც ესმით მათ, თუ რაოდენი ბედნიერება შეუძლია მას. მოუტანოს კაცობრიობას. წარმოვიდგინოთ თუნდომიანობა, როდესაც ერთი ქალაქი მეორეს ესხმის, ამას ჩაღიან კაცნი და თავიანთ სახელისთვის სწირავენ უძვირფასესს სიცოცხლეს. ამაზე უძნელესი საჭმე რაღა იქნება, როდესაც შენს სიცოცხლეს მსხვერპლათ,

სწირავ? რომელი მოხელეა და რომელი ხალხი, თავისს მეფის ამგვარ ბრძანებას წინააღუდგეს? სიყვარული კი ამ გვარ მსხვერპლს არ თხოულობს, იმის სთვის რომ, როდესაც კაცს უყვარს თავისი მოძმე, მას სიყვარულითვე გასცემს იგი პასუხს. თუ რომ კაცი თავის მოძმეს კეთილს უზამს, იშვიათი შემთხვევაა, რომ თვისი საქმე კეთილათვე არ დაუბრუნდეს. მაგრამ თუ რომ ჩვენ მოძმეს ცუდი ვუყავით, იგივე მოძმე სიბოროტით გადაგვიხითის. როდესაც კაცს თავისი მოძმე ეჯავრება და სძულს, სხვებსაც სძულთ იგი. მაშ რაშია სიძნელე, რომ ხალხმა ისე იცხოვროს, რომ ერთმანეთი უყვარდეს: თუ რამე სიძნელე არ სებობს, ეს მხოლოდ იმიტომ რომ მმართველთ და უფლების მქონეთ არ უყვართ ხალხი, არ სურთ, რომ თვის მართველობაში სიყვარულით იხელმძღვანელონ. ამის მიზეზით უკუგდებულია ძმური სიყვარული მოხელეთაგანაც და ხალხისაგანაც.

ერთ ღროს ცხოვრებდა მეფე ვანი. მას უყვარდა, რომ მისი მოხელენი ღარიბათ ყოფილიყვნენ ჩაუმულნი. სუყველა მოხელე დიდათ ცდილობდა ესიამოვნებინა მეფისთვის და რაც შეიძლება, ღარიბათ იცვამდენ და თითქმის სასირცხოთაც. ამ გვარ სამოსში ისინი წარსდგებოდენ მეფის კარზე, ამგვარათვე დადიოდენ ქალაქში და სრულებით არ რცხვენდათ. რისთვის? მარტო მისთვის რომ იგი მეფის სურვილი იყო.

მეორე მეფეს-ლინს უყვარდა გამხდარი მოხელენი და მარტო მათ აწინაურებდა. რასაკვირველია ყველა მოხელე ცდილობდა, რაც შეიძლება ცოტა ეჭამა — გამხდარიყო. ამგვარი მოხელენი თითქმის საშინელ სიმშილს განიცდიდენ. უკანასკნელათ ისე გახდენ ისი-

ნი, რომ ფეხზე ვეღარ დგებოდენ, გზაში ბარბაცობდენ, სიარულში კედლებს ეჭიდებოდენ, რომ არ წაქცეულიყვნენ. გავიდა პირველი წელიწადი, ყველა მოხელე ისე გამოიყურებოდა, რომ აგერ—აგერ სულა განუტევებსო. რისთვის იქცეოდენ ასე მოხელენი? მისთვის, რომ მათ მფლობელს ასე სურდა.

მეფე საო--ტსენმა მოისურვა, რომ მისი მოხელენი მამაცნი ყოფილიყვნენ. იგი განსაკუთრებით ასწავლიდა ახალგაზღას სიმარჯვეს და მამაცობას. ერთხელ, როდესაც უმრავლესი მოხელენი მასთან შეიკრიბენ, მეფემ მათდა საიდუმლოთ ზღვაში ხომალდისთვის ცეცხლი წააკიდებინა და მოხელეებს შეჰყვირა: ჩემი ავლადიდება— მთელი საცხოვრებელი იქ მქონდა და მეწვისო,— აბა მიშველეთ!! დაფი დაკრეს და ყველა მოხელენი გემზე გაეშურენ. დაიწყეს ცეცხლის ქრობა, მაგრამ უმეტესი მათგანი ზღვაში დაიხიოდა ბევრიც ცეცხლში დაიწვა. უკან გამობრუნებას ვერცერთი ვერ ბედავდა სანამ მეფემ ხელმეორეთ უკან გამობრუნების დაფი არ დააკვრევინა. დანარჩენი მხოლოდ მაშინ გამოვიდენ.

როდესაც კაცნი სიმშილობას ეწევიან, სამასხა-როთ ძონძებში დადიან, თავის სიცოცხლეს სწირავენ მარტო თავის გამოჩენისათვის და მარტო მეფის სია-მოვნებისათვის, რასაკვირველია დიდათ ძნელ საქმეს სჩადიან. ამის მეათედი მსხვერპლიც არ დასჭირდებოდა კაცს, თუ რომ ცდილიყო სიყვარულის გავრცელებას, რითაც, როგორც თავის თავს, აგრეთვე ქვეყნიერებას სამუდამო ბედნიერებას მოუტანდა. ვგონებ ეს სიძნელე ბევრათ უფრო ადვილი და სიხარულით შესასრულებელია, ვინემ თავიანთი მეფის გულის თქმის და ახირების შესრულება.

სიხარულით დაგეთანხმებით, --მეტყვიან ნასწავლნი--, ძრიელ კარგი იქნება, რომ ურთიერთ შორის სიყვარული დამყარდეს; ვინ იტყვის რამეს მაგის წინააღმდეგ, მაგრამ მისი განხორციელება შეუძლებელია. უფრო ადვილია მთის გადატანა მეორე ადგილს, ვიდრე საყოველთაო სიყვარულის განხორციელება.

არა, უკაცრავათ, მაგ ორი საგანი არაფერი შე-
საღარებელია. მთის აღებისთვის და ადგილის გამო-
ცვლისთვის ზესთა ბუნებითი ძალაა საჭირო და ძველ-
თაგან დღევანდელამდე არავის ახსოვს მაგვარი სა-
ქმის შესრულება. განხორციელება კი საყოველთაო
სიყვარულისა სულ საჭა საჭე. სიკარული, გრა-
ლებელი რამაა; კაცთა შორის ყოველთვის ყოფილა
და არსებობს სიყვარული. ხშირათ ერთმანეთს უთ-
მობთ, ბევრ უცხო პირთაც კეთილს უშვრებით.
მაშ ახლა მხოლოდ საჭიროა, რომ ჯერ ეს სიყვა-
რული უმრავლესობაში შევიდეს და შემდეგ საყოვე-
ლთაო შეიქმნეს. ასე რომ, თუ უფლებათა მქონე
პირნი, სულით და გულით მოისურვებენ, რომ
ხალხმა ბეჭნიერათ იცხოვროს და სიღარიბეში და
გაჭირვებაში არ ამოაძერეს სული; თუ რომ ისინი
ნამდვილათ მოისურვებენ კეთილმართებლობას, იხ-
სნან გაჭირვებული ხალხი საშინელი აურზაურისა
და ცხოვრების მოუწყობლობისაგან, მათ ეს სულ
ადვილათ შეუძლიათ საყოველთაო სიყვარულის
ხელმძღვანელობით. ეს ახალი ამბავი არ არის: ასე
იყო ძველათ, როდესაც ხალხს ბრძენი მართველე-
ბი ჰყავდა.

၆၃၁၂၈၈ III.

ამნაირათ ბრძენთა შიზანი უნდა იყოს, რომ კაც-
თა შორის გაავრცელონ კეთილზნეობა და მისი შშო-

ბელი სიყვარული და მოსპონ ის გარემოებანი, რო-
მელნიც მიღრეკილნი არიან უზნეობისა და ბორო-
ტებისაკენ

რაში მდგომარეობს ხალხთა შორის ბოროტება-
ნი? ბოროტებაა, როდესაც ერთი სამეფო, ერთი ერი
ომს უმართავს მეორეს. ბოროტებაა, როდესაც ძლი-
ერნი და უფლებით დღჭურვილნი აჩვევენ და ძალას
ხმარობენ ულონოთა და გაჭირვებულთა წინააღმდევ;
ბოროტებაა ყოველგვარი ძარცვა-გლეჯა; ბოროტებაა
ულონოთა დამონავება და სუსტება ძალის ხმარება;
ბოროტებაა — სისასტიკე და უსამართლობა, როგორც
მართებლობაში, ასევე ურთიერთ შორის. ბორო-
ტებაა უფროს-უმცროსობის გატეხა და შვილთა
უპატივცემლობა მშობლებისა და ბოროტებაა ყოველ-
გვარი ისეთი საქციელი ერთმანეთში, კაცთა შორის,
რომელსაც კეთილი შედეგი არა აქვს; ბოროტებაა —
ქურდობა, ცეცხლის წაკიდება, წყლის გადაყვანა ყა-
ნებიდან და სხვა.

რა არის წყარო ყველა ამ ბოროტებათა? წყარო
ყველა ბოროტებისა არის სიმძულვარე და სურვილი
მოძმეთა შორის ცუდის და ზარალის მოტანისა.
რისოფის? ამისთვის რომ კაცთა შორის გარჩევაა; ზო-
გი უყვართ და ზოგი არ უყვართ. ბოროტება ამ
განსხვავებაშია. ნუ გაარჩევთ ხალხს ერთმანეთისაგან,
ყველას ერთნაირი გულკეთილობით მოქეციონ და
ქვეყანაზე ბედნიერება დამყარდება.

რა გაასწორებს კუზიან კაცობრიობას, რა შე-
უწყობს ხელს მისი კეთილიმიზანის მიღწევას? მხოლოდ
სიყვარული, სიყვარული განურჩევლათ პირთა და მათი
მდგომარეობისა; ერთი სიტყვით საყოველთაო სიყვა-
რული. რომ ეს სიყვარული გავამეფოთ ხალხში, საჭი-
როა გამოუცვალოთ აზრები იმ პირთ, რომელნიც ამის
წინააღმდეგნი არიან. ეს კი შეიძლება მარტო მაგა-
ლითით, თუ რომ სიყვარულის განხორციელებას ეც-
დებიან უფლება მოსილნი და ძალთა მპყრობელნი
პირნი. თუ ისინი მისცემენ სიყვარულის მაგალითს

ქვეყანას, მოსპობენ სიმძულვარეს უმცროსისადმი, უძლურისადმი და სიყვარულში გარჩევით არ იხელ-მძღვანელებენ, საყოველთაო სიყვარული ძალაში შე-ვა. მივმართოთ სინდის და ვკითხოთ: რა ნება გვა-ქვს ჩვენ ჩვენთა მოძმეთა და მოყვასია გასამართლე-ბის? რა ნება გვაქვს ჩვენ ზოგი მათგანი ჩავთვალოთ კარგებათ და ზოგი — ავებათ და მივაკოთ ბოროტი?

ვისაც სურს გასამართლება მოძმისა, მოყვასისა, მი-სივე ვალია, რომმან იმის გასწორებაც იკისროს. რა ნე-ბა გაქს შენ გასაჯო კაცი, გამოუნახო მას ნაკლულე-ვანებანი და შემდეგ ყოველი ლონისძიება არ იხმარო მის გასასწორებლათ? ეს ხომ იგივე იქნება, რომ კა-ცი გადაარჩინო სიკვდილს ცეცხლი და შემჯეგ წყალში ჩაახრჩო. მაში თუ იმედი არა გაქს გასწო-რებისა, ნუ განსჯი მას და ნუ გეჩვენება მოძმის სი-ბოროტე დიდათ.

მხოლოთ მაშინ და მხოლოთ მაშინ, როდესაც დაინერგება საყოველთაო სიყვარული, კაცი აეხსნე-ბათ ერთმანეთის სმენა, გაიგებენ ერთმანეთის გუ-ლის ტკივილს და სიყვარულით მიმართავენ, რომ განკურნონ მათი წყლულები. ლონიერნი დაეხმარე-ბიან უღონოთ, განათლებულნი გაუნათლებელთ, მოხუცნი ახალგაზდათ, ახალგაზდაზი ყმაწვილთ და ასე ამგვარათ ყველა ერთმანეთს: ააყენებენ ფეხზე დაცემულთ, მხარში ამოუდებებიან მოძმეთ ცხოვრების მძიმე ტვირთის ზიდვაში და ამნაირათ ყველანი ბედნიერებას მიაღწევენ.

მაგრამ .. მაგარი ის არის, რომ ნასწავლნი და ძალმოსალნი პირნი ინადობენ. მათი სიტყვით სიყ-ვარული კარგი საქმეა, მაგრამ შეუძლებელია, რომ საყოველთაო სიყვარული დამყარდეს, — ყოველ კაცს ერთმანეთი უყვარდესო.

ავილოთ მაგილითათ ორი კაცი: ერთს საჭი-როთ, მიაჩნია რომ კაცი ერთი მეორედან გავარჩი-ოთ და მეორეს კი არა. წინალმდევ მეორეს სწამს, რომ სუყველა ერთნაირათ უნდა გვიყვარდეს. პირ-

ველი იტყვის: როგორ შემიძლია მე ყველა უცხო კაცისათვის თავი შევიწუხო ისე, როგორც ჩემი თავისთვის. როგორ შემიძლია მე სხვისი მშობლისთვის ვიზრუნო ისე, როგორც ჩემი საკუთარი მშობლისათვის. ამ გვარ აზრის მქონეს შეხვდებიან გაჭირვებულნი, მშიერნი, ძონძებში გახვეულნი კაცნი და გვერდს აუვლის, არ დაეხმარება, არ აჭმევს და არ შემოსავს მათ. როგორი აზრიცა აქვს მას, იმგვარივე იქნება მისი საქციელი. მეორე კი, რომელსაც გაუგონია და სწამს, რომ ბედნიერათ ცხოვრება ქვეყანაზე მარტო მას შეუძლია, ვინც გულით იღწვის მოძმისთვის, მათი მშობლებისთვის და მათ ბედნიერებას თავის ბედნიერებათ სთვლის, რასაკვირველია, მშიერს გააძლებს, შიშველს შემოსავს, მწყურვალეს წყალს ასმევს, შეცივნულს გაათბობს, უბინაოს ბინას მისცემს, ავათმყოფებს მოარჩენს, ტუსალებს მიხედავს, მკვდართ დამარხავს. ამნაირათ რაც მას სწამს, მის, საქციელიც იმ გვარივე იქნება.

ვისი აზრი იქნება მოსაწონი და ვინ უფრო მოეწონება გაჭირვებაში მყოფ მოყვასს: ის რომელიც ინადობს და არ სურს იწამოს სიყვარული, თუ მეორე? ამგვარათ დიდათ საკვირველია და გაუგებარია ჟინი იმ განვითარებულ და ნასწავლ კაცთა, რომელნიც ამ ჭეშმარიტებას ასე ცოტა ყურადღებას აქცევენ და სიყვარულით არ ხელმძღვანელობენ თავიანთ შრომებში კაცთ ნათესავთა საკეთილდღეოთ.

თუ მათ არ სწამთ, რომ ამგვარი სიყვარული კეთილს მოიტანს, მაშ არტომ უნდათ, რომ უმცროსთ უფროსნი შეიყვარონ, ქვეშევრდომთ თავიანთი შმართველნი, თავიანთი მეფე შეიყვარონ; ისინი აღიარებენ, რომ უმცროსთ შეუძლიათ შეიყვარონ უფროსნი და უფროსთ უმცროსნი კი არაო. როგორ შეიძლებაო, ამბობენ ისინი, რომ მაგალითათ, მეფემ ყველა თავის ქვეშევრდომი თავისთავისით შეიყვაროსო?

მაშ რისაგანაა შედეგი ამგვარი შედარებისა: წარმო-

ვიდგინოთ ორი შმართველი, ორი მეფე. ერთი ამბობს: როგორ შემიძლია შევიყვარო ჩემი თავივით ჩემი ხალხი, ყველა ქვეშევრდომი, ეს ხომ ბუნების წინა აღმდეგიაო. და მეორეს კი სწამს, რომ ბედნიერება მხოლოთ მასშია; რომ ჯერ ჩემი ხალხის და ჩემი ქვეშევრდომების ცხოვრების გაუმჯობესობაზე ვიღვაწოდა მერე ჩემ თავზეო. რომელი მათგანი მოეწონება ხალხს, რომელისაკენ იქნება სიმართლე? რასაკვირველია ყველა გეტუპის და ირჩევს იმ შმართველს, რომელიც ივიწყებს თავის თავს ხალხის ბედნიერებისათვის.

მაგრამ ნასწავლი ხალხი ძნელი გასატეხია. ისინი მაინც დაიენებენ, რომ საყოველთაო სიყვარული შეუძლებელიაო. კარგიც არ იქნებაო,—ზოგი დაუმატებს, რადგან ამგვარი სიყვარული გამაშეილურ, მშობლიურ სიყვარულს გააგრილებს და ოჯახის სიმტკიცეს შელახავსო. ეს ასე არ არის. თუ რომ შეილს უყვარს მშობლები, იღწვის მათი ბედნიერებისათვის და მოსწონს თავისი საქციელი, უეჭველათ იგი ეცდება, რომ სხვათაც უყვარდეს თავიანთი მშობელები და იღვწოდენ მათთვის,, თუ რომ შეილს უყვარს თავის მშობლები და ესურვება, რომ მის მშობელს ყველა კარგათ მოეპყრას, ის მაშინ მიაღწევს თავის სურვილს, თუ იგი სხვის მშობლებსაც კარგათ მოეპყრობა. ამნაირათ მხოლოთ საყოველთაო სიყვარულით შეგვიძლია მოვიხვეჭოთ ბედნიერება ჩვენთვის, მშობელთათვის და მოყვასთათვის.

მაშ რა მიზეზია, რომ საყოველთაო სიყვარული არ ვრცელდება ხალხში? მიზეზი მხოლოთ ის არის, რომ შმართველთ არ ესმისო სიყვარულის მნიშვნელობა კაცთა ცხოვრებაში.. თუ რომ ისინი ჩანვთენ მას, ჩანვთენ სიყვარულს განურჩევლათ პირთა და ეცდებიან, რომ ხალხს აუხსნან მისი მნიშვნელობა, მალე გავრცელდება იგი და საყოველთაო სიყვარული დამყარდებოდა, დაისადგურებდა არათუ ერთ რომელიმე სამეფოში, ან ერში, არამედ მთელ კაცობრიობაშიაც, ისეთივე ბუნების კანონებით, რომელი

ბუნების კანონითაც კომლი ადის მაღლა და შეა-
ლი ჩადის დაბლა.

გოლოსითვაობა.

აი ეს აზრებია ჩინეთის ფილოსოფოსის მი-ტის
გამოთქმული 400 წლის წინათ ქრისტეს დაბადებამდე.
მი-ტი იყო ჩინეთის სჯულმდებელ კონფუკიოს მო-
წაფე. მი-ტის სრულებით სწამდა, რომ შესაძლე-
ბელი იყო ქვეყანაზე საყოველთაო სიყვარულის და-
მყარება. ძალას სიყვარულის დამმყარებელ იგი
მმართველთ და მეფეთ აწერდა. იყო დრო, რო-
დესაც ჩინეთში მი-ტის სწავლის მიმდევრებს ტანჯა-
ვდენ, სწვავდენ. აწვალებდენ, მის სწავლას ბევრიძლი-
ერი მოწინააღმდეგეც გამოუჩდა, რომელთა რიცხ-
ვში უპირველესი ალაგი მენციოს უჭირავს. ამგვარათ
ამ სწავლამ ჩინეთში ვერავითარი ნაყოფი ვერ გამოი-
ლო, მაგრამ საყოველთაო სიყვარულის მარტივმა
სწავლამ მაინც ჩვენამდე მოაღწია.

მას შემდეგ და მანამდეც ბევრი ნასწავლი კაცი
ეხებოდა სიყვარულის შესწავლას ბაბილონში, ური-
ასტანში, ინდოეთში, საბერძნეთში, რომში და ყვე-
ლანი ერთბაშათ მიდიოდენ იმ დასკნამდე, რომ
ქვეყანაზე კაცთა ბენიერებისათვის საჭიროა, რომ
ყველა კაცმა ის ისურვოს თავის მომისათვის, რაიც
სურს თავის თავისათვის. ერთი სიტყვით ყველას გა-
ნურჩევლათ მოყვასისა კეთილი უყოს, მაგრამ ამსწა-
ვლამ სრულებითაც არ შესცვალა კაცთა ცხოვრება,
რადგან სიტყვა იმ გვარ ნიადაგზე ითესებოდა, რომ
ნაყოფის გამოცემა შეუძლებელი იყო. არა თუ იგი
ნაყოფს ვერ იღებდა, არამედ იოტის ოდენათაც ვე-
რა სცვლიდა მაშინდელ მდგომარეობას. კაცობრიობა
თან და თან დაღმართისკენ ექანებოდა, ბოროტება და
გარყვნილობა თავის უმაღლეს წერტილამდე აღიო-
და. კაცობრიობის უკულმართობას საზღვარი არ ქო-
ნდა. ვერც აღმოსავლეთის კულტურა, ვერც საბერ-
ძნეთის ფილოსოფია და რომაელთა უფლების მეტყ-
ველება მას ვერაფერს. შველოდა.

ამ დროს ქვეყანას მოევლინა იესო ქრისტე, რომელიც, როგორც სიტყვით, ისევე საქმით უკიდურეს სიყვარულს ასწავლიდა მან ერთი მხოლოდი მცნება მისუა კაცო ნათესავს: „ახალსა მცნებასა მიგცემთ თქვენ, რათა იყვარებოდეთ ურთიერთს!“ ამ ერთი და მარტივი მცნებით მან სიყვარული დააკანონა, სარწმუნოების საფუძველათ გახადა და უკანასკნელი სიტყვა წარმოსთქვა სიყვარულის შესახებ, ეს ის, რაც მის მოსვლამდი კაცს არ წარმოეთქვა, რაც ჯერ კიდევ შესაძლებელათ არავის მიაჩნდა, „შეიყვარეთ მტერნი თქვენი და კეთილ უყოფდეთ მაწყევართა თქვენთაო!“ აი, ეს არის თავი და ბოლოზნეობრივი სწავლისა; ამით დაგვირგვინდა საყვარულის სწავლა. ქრისტემ სთქვა უკანასკნელი სიტყვა სიყვარულზე და ზნეობრივ ცხოვრებაზე. ამ სწავლამ მიაღწია გონიერების უკანასკნელ საზღვრამდე.

ამ სწავლამ შეანძრია დიდი რომის იმპერია; მან დაანგრია კერპთ თაყვანისმცემლობა და უჩვენა კაცობრიობას გზა სხვა სიყვარულისა, ზნეობაში წარმატებისა და კულტურულ წინმსვლელობისა. მაგრამ ქვეყანა სიმძლვარის ტალახში ჩაფლული ისე აღრე ვერ შეიძერტყდა თავის ძონებს, უცებ ვერ გასპეტაკდებოდა. მეოცე საუკუნე დაიწყო და ქრისტეს სწავლის მიხვედრა, სახარების გაება ჯერაც დიდ სიძნელეს წარმოადგენს. რა და რა მაღალი აზრი არ გამოთქმულა ბრძენთაგან, რა და რაწიგნი არ დაწერილა მისი სწავლის წინააღმდეგ, მაგრამ „იგი არს ნათელი, რომელიც ბნელსა შინა სჩანს და ბნელი მას ვერ ეწია!“

დღეს ევროპაში არ არის ლიტერატურა, რომელსაც სიყვარულის გასაგებათ თავის წვლილი არ შეეწიროს, მაგრამ კაცობრიობა მაინც ვერ ჩამხვდარა, თუ რა არის საყოველთაო სიყვარული. როგორ შეუძლია კაცს ყოველი თავის მოყვასი შეიყვაროს ისე, როგორც თავის თავი, არა თუ მარტო მოძმე, მოყვასი, არამედ მტერიც. უმრავლესობას ეს სწავლა იდეალათ მიაჩნია; იმ შეუსრულებელ იდეალათ,

რომელსაც კაცობრიობა ვერას დროს ვერ მისწვდება. ზოგნი უტოპიათ რაცხვენ, რომლის განხორციელება შეუძლებელია. ზოგს დაუდასტურებულ ქარსიტყვათ მიაჩნიათ.

ამ გვარი აზრი სიყვარულზე დიდი შეცტომაა. შეუძლებელი სრულებით აქ არა არის რა. წინააღმდეგ ძლიერ აღვილი გასაგებია; მხოლოთ საჭმე მაშია თუ კაცობრიობა იმ მართალ გზას დაადგება რა გზაზე-დაც დღეს მეცნიერული სოციალიზმი აღგია. იგი მიგვიყვანს სიყვარულის სრულ შეგნებამდე და მის განხორციელებამდე.

ეგოიზმმა სრულებით დათრგუნა ჩვენში ის თესლი, რა თესლიდანაც ღვივდება ჩვენში სიყვარული. კაცობრიობა დაადგა მარტო ძალმომრეობის გზას და აი შედეგი, რომლამდიც მივეღით. გონების განვითარებასთან აუცილებლათ საჭიროა განვითარდეს გულიც. ადამიანის გული, საიდანაც უნდა გამომდინარეობდეს სიყვარული, სიბრალული და თანაგრძნობა მოყვასისადმი, სრულიათ დავიწყებულია და ჩამორჩენილია კაცთაგან განვითარებაში. თუ რომ გულიც ერთ და იმავე ნაირათ გონებასთან ერთად ვითარდებოდეს, მაშინ გაიგებს კაცობრიობა ბევრ იმ გვარ საგანს, რომელიც დღეს სრულებით უცნობათ რჩება.

კაცის ცხოვრებაშა გონება მეფობს, მაგრამ გული დედოფლობს. თუ ესენი ერთათ არ მიღიან წინ, სიცოცხლე არ არის სიცოცხლე, არამედ ნახევარი სიკვდილია. ყოველი მოქმედება, გამოსული მარტო ერთ, ამათთაგან არ არის სრული, არ არის კეშმარიტება. ის არის სიმართლე, ის არის კეშმარიტება, ის არის სრული, რომელიც გამომავალია ერთ და იმავე დროს, როგორც გონებიდან ისე გულიდანაც.

რა არის სიყვარული, როგორ იბადება, ვრცლდება და სისრულეში მიღის, მკითხველს გავაცნობთ შემდეგ წიგნაკებში.

1

2 422

ՊԱՍՈ ՁԻՌՈ ՑԱՇԽՈ.

Յոնց ճալդատ ուսողով առա ճայլեց 50 ըալ. ուստի
ֆոքնո քայտմած ևաթ յաձեզատ յ. ո. Տայրութեա 40%.

Օքրյած: **Բայմъ. Книжный магазинъ**
,,Гантіади“ Александру М. Челидзе.